**№ 204**

შაბათი, 23 სექტემბერი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 70 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 55 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

# ივერია

**№ 204**

შაბათი, 23 სექტემბერი 1895

რედაქცია:

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი№ 227



## „ივერია“

გამოვა 1896 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას,

სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

ქართული თეატრი.

კვირას, 24 სექტემბერს,

ქართულ დრამატ. საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება

ქ. ბ. ავალიშვილისა, ბ-ნთ აბაშიძის, ა. კ. ყიფიანისა და კ. მესხის მონაწილეობით, ქ-ნის ნ. ჩხეიძისა და ქ. ჩხეიძის სადებიუტოდ

### სამშობლო.

ისტორიული დრამა 5 მოქმდ. დ. ერისთავისა

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მოწაფეებისათვის კუპონები ლოჟების უკან 65. კ.

დასაწყისი 8 საათზედ.

რეჟისორი ვ. ალექსევ-მესხიევი.

ადმინისტრატორი მ. კვალიაშვილი.

### ტფილისის საგალოსნო სკოლაში

მისაღები ეგზამენები დანიშნულია

16 ოქტომბრისათვის.

თხოვნები მიიღება 14 ოქტომბრამდის. (3—1878—1)

**წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ 25 სექტემბერს, საღამოს 7 საათზედ, დანიშნულია **ამხანაგობის საზოგადო კრება** განსახილველად შემდეგის საგნებისა:

1. ანგარიში „ქართველთა ამხანაგობის“ მოქმედებისა 1894 წელსა.

2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა 1894 წ. ანგარიშის შესახებ.

3. სავარაუდო ანგარიში (სმეტა) შემოსავლისა და გასავლისა 1895 წ.

კრება იქნება სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

კრებაზედ დასწრება შეუძლიანთ მხოლოდ წევრთ.

**სურათები**

მეფე ერეკლე მეორისა, შოთა რუსთაველისა, ილია ჭავჭავაძისა, რაფაელ ერისთავისა და ეგნატე ნინოშვილისა

ისყიდებიან:

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და წიგნების გამომცემელ ამხანაგობის მაღაზიებში და გიორგი დემუროვის ლიტოგრაფიაში, განოვსკის ქუჩაზედ.

ფასები:

კარდონზე: მეფე ერეკლესი, ილია ჭავჭავაძისა და რაფაელ ერისთავის სურათები ექვს-ექვსი შაურია, შოთა რუსთაველისა და ეგნატე ნინოშვილისა ხუთ-ხუთი შაური. ილია ჭავჭავძის სურათი თხელ ქაღალდზე ღირს ხუთი შაური. ნინოშვილისა—სამი შაური, რუსთაველისა, ერისთავისა და ერეკლეს სურათები თითო აბაზი.

ივანე ბოძაშვილისა და გიორგი ქუმსიაშვილის მოთავეობით

ისყიდება

**წმინდა მატყლი**

ფშაველებისა და თუშებისა. მატყლის საწყობი იმყოფება ავჭალის ქუჩაზედ, ივანე კაზაკოვის შენობაში, № 93. (5—1869—4).

ბ-ნის კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნება-რთვით გავხსენი

### სასწავლებელი პანსიონით

მ. ა. კარამასკოვ.

ყმაწვილების მიღება დაიწყება ორ სექტემბრიდგან.

ნიკოლოზის ქუჩა, № 63. (4—1805—4).


## ახალი ამბავი

*** კვირას, 24-ს სექტემბერს, ქართველ თავად-აზნაურთა თეატრში იწყება სეზონი ქართულის წარმოდგენებისა. მომავალს სეზონში მონაწილეობას იღებენ ყველა ჩვენი ძველი საუკეთესო არტისტები: ვლ. ალექსი-მესხიშვილი, კ. ყიფიანი. კ. მესხი, ვ. აბაშიძე და სხვანი, არტისტიქალები: მ. საფაროვისა, ავალოვისა და სხვანი. ითამაშებს აგრეთვე რამდენიმე ახალგაზდა არტისტი, მათ შორის ქ-ბნი ჩხეიძის ასული. რეპერტუარიც ამ სეზონისთვის დიდი და საკმაოდ მდიდარი არის დანიშნული: წარმოდგენილი იქნება საუკეთესო ძველი ორიგინალური და ნათარგმნიპ იესა და ბევრი ახალიც. ერთი სიტყვით, ახალი ჩვენი დრამატიული კომიტეტი ძალიან ცდილობს, რომ სეზონი კარგი და სასიამოვნო იქნას.

ვუსურვოთ მას წადილის აღსრულება და იმედიც ვიქონიოთ, რომ ქართველი საზოგადოებაც ხელს შეუწყობს ჩვენს თეატრს კვლავინდებურზე უფრო მეტად! სეზონი იწყება ცნობილის დრამით „სამშობლოთი“, რომელიც, როგორც ვთქვით, წარმოდგენილი იქნება ხვალ, 24 სექტემბერს. სხვა არტისტთა შორის აღვნიშნავთ ქბ. ჩხეიძის ასულს, რომელიც აასრულებს ფაიხოშის როლს და კ. მესხს, რომელიც ლევან ხიმშიაშვილს წარმოადგენს.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ თვის 26 მოსკოვიდამ ჩამოიტანენ წმ. დავით და კონსტანტინეს ახალ ლუსკუმას (კუბო). ეს ლუსკუმა გაკეთებულია მოსკოვის ერთს საუკეთესო ქარხანაში და მართლაც ისე მშვენივრად მოწყობილია თურმე, რომ სრულიად შესაფერისი არის იმ მაღალის საგნისათვის, რისთვისაც დანიშნულია. ძველი კუბო ამ წმიდანებისა მოწამეთის მონასტერში უბრალო ხისაგან და სრულიად უმხატვროდ, უგემოდ გაკეთებული არავის ყურადღებას არ იზიდავდა და ახალი-კი, როგორც გადმოგვცეს, შესანიშნავი რამ იქნება: საუკეთესო მასალისაგან

## ფელეტონი

—

**მზეს**

(სიმღერა.)

მზეო, მინდოდა მენახვე,
გკვლივე და გითვალ-თვალეო,
შენ-კი არც პირი მაჩვენე,
არც წარბი გამიშალეო,
გამიჯავრდი და გამიწყრი,
ყურებაც დამიშალეო.
ეჰ, მეც მომწყინდა: ამდენი
ფერობით დავიღალეო!
მირჩევნავ გადაითხიო, *)
მთვარე მოვიდეს მალეო,
რომ მოწყენამდის ვუცქირო,
იმას-კი ვენაცვალეო!

ბაჩანა.

1895 წ.

—✦✦—

**ხალხის ცხოვრებიდგან.**

**IV *)**

საკვირველი სიზმარი ნახა ერთ ღამეს თიკომ. ვითომ გაიოზს უიმედო სიყვარულის გამო თავი დაერჩო და დაესაფლავებინათ. დასაფლავების პირველ ღამესვე თიკო სახლიდგან გაიპარა მთვარიანში, დაიჩოქა გაიოზის საფლავთან ცრემლ-მორეულმა და გულ-მწუხარედ მოსთქვამდა ზეცისაკენ თვალებ-აღპყრობილი: „შეუძლებელის შემძლებელო ზეციერო მამაო! ყველა ტანჯულ-გაჭირვებულის შემბრალებელო და შემწყალებელო უფალო! ჩვენთვის ჯვარ-ცმულო და წამებულო იესო-მაცხოვარო! ყოვლად წმიდაო ღვთის-მშობელო დედაო მოწყალებისაო! და მთელი ცაქვეყნის მცველ-მფარველნო წმიდა მთავარ-მოწამენო და ანგელოზნო! მეც შამიბრალეთ ცოდვილი, ისმინეთ ჩემი მწუხარე გულის ვედრება, და ერთხელ კიდევ მიჩვენეთ ჩემთვის მკვდარი გაიოზი, რომ იმის გულში ტირილით გული მოვიკლა და მეც იმასთან დავიმარხო მიწაში“.

უცბად გაირღვა საფლავი, შრიალით წამოვიდა სამარიდგან თავ-ახდილი კუბო და მწუხარედ დაჩოქილ თიკოს წინ გაჩერდა მიწაზედ. გულმიბნედილი თიკო მთლად დაიბნა და გაშეშმიშდა სულ-განაბული. თითქოს ნეტარის ძილითა სძინავსო, ისე ესვენა კუბოში სახე-შეუშლელად თვალებ-დახშული და გულხელ-დაკრებილი გაიოზი. გონზედ მოსულ თიკოს ძალზედ აუდუღდა გული, მდუღარებამ ანკარა წყაროსავით გადმოჰხეთქა შავ-მაყვალივით ჟუჟუნა თვალებიდგან და წარმოუთქმელის მწუხარება-გოდებით ჩაელაპარაკებოდა ჰირის-უფლობაში დახელოვნებულ მოზარესავით: „მაპატივე შაცოდება, ჩემთვის ტანჯულო და წამებულო გაიოზ! ჩემო პირველა სიყვარულის დაუჭკნობელო იავ და ვარდო! სულო ჩემო გულისავ და ფიქრო ჩემო გონებისავ! გულიდგან განუყრელო და განუშორებელო სიცოცხლევ და იმედო ტკბილო სიყვარულისავ! მაგრამ... ვაიმე! უდროვოდ და სამუდამოდ დაკარგულო სიხარულო! იქნება ღმერთს შესტირე: თიკოს არ ვუყვარდი და იმიტომ მოვიკალ თავიო? ვაი ჩემ თავს, ვაი!.. ნუ, გენაცვალე, ჩემო სიცოცხლე გაიოზ, ადრე და მალე ბედ-გაშავებული სიყვარულის მუდამ საგონებელო შარბათო! ნუ, ნუ იტყვი მაგას, ღმერთი გულთა-მხილავია ყველასი: რა დღესაც შენ ალაზანზედ სამახსოვრო მადლი და ვაჟკაცობა გამაჩინე, იმ დღის აქეთ თვალზედ ძილი აღარ მამკარებია, შენი სიყვარულის დაუშრეტელი ცეცხლით ვენთებოდი, ვიწოდი და ვილეოდი მთვარესავით, მაგრამ, ოოხ!.. შენ დაიღუპე ჩემო დამღუპავო გაუბედაობავ!—რაღაც ღვთისაგან დაწყევლილი სიამაყე, ფიქრი და შიში ენის წვერსაც-კი არ მანძრევინებდა, რო შემომეთვალა შენთვინ: მე შენი ვარ, გენაცვალე, ნუღა ჰკვდები-მეთქი“.

გაჩუმდა თიკო და საკირესავით მგზნებარე სიყვარულით გულ-აძგერებული გაუმაძღრად დააცქერდა მომხიბლავად მიბნედილის თვალებით გაიოზის დახატულ პირისახეს, რომელიც ცის ელვასავით შვენოდა კაშკაშა მთვარის შუქზედ. ბოლოს ისევ ამღუღრებულის ცრემლით აუჩქროლდა გრძნობები და გულ-საკლავად მოსთქვამდა კუბოს გვერდით ანგელოსის მსგავსად დაჩოქილი: „ოოჰ! გაიოზ!.. სამუდამოდ დაკარგულო, ჩემო გულის სიცოცხლევ და სიხარულო გაიოზ! შენ ჩემი ცოდვით რა კარგსა ჰნახავ იმ ქვეყანას, რომ ჩემი მთვარე-მზიანი სიცოცხლე, იმედი და სიხარული საფლავში ჩაესვენე საუკუნოდ, და მე-კი, ვაი ჩემ თავს! შენი სიყვარულით წყურვილ-მოუკლავი და გაუმაძღარი აქ დამაგდე მარტოკა შავ-ბნელ ჯოჯოხეთში სატანჯველად!.. ოხ, რა შაუბრალებელი და უწყალო მოღალატე ყოფილხარ, ჩემო სულის სამოთხევ და გულის ღმერთო გაიოზ!.. შაისმინე, გაიგონე და შამიბრალე: სული და გული ჯოჯოხეთის ცეცხლ-ნავთმა ჩამინავლა და მე უშენოდ ველარ ვიცოცხლებ და ან რაღა ეშმაკად მინდა ეგეთი დაწყევლილი ჯოჯოხეთის სიცოცხლე. ოჰ, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, ჩემთვინ წამებულო გაიოზ! ნეტა გიჩვენა რა ცეცხლია ჩემ გულში გაშლილი, ეგება მაშინ მაინც მაპატივებდი დანაშაულს, ეგება მაშინ მაინც დაიჯერებდი, რო თიკოს ქვეყანაზედ შენს გარდა სხვა კაცი არა ჰყვარებია თავისს გაჩენაში და არც ეყვარება აღარავინ, რადგანაც ჩემი გულიც შენ გულთან დაიმარხა შავს მიწაში საუკუნოდ. მაგრამ, ვაი ჩემ თავს! შენ არ გესმის ჩემი ჯოჯოხეთის სატანჯველი, სამუდამოდ მეუმძრახები, თვალებს აღარ ახელ, ჩემი დანახვაც-კი ჰირივით გეჯავრება—და რათა, რისათვინ, სულო ჩემო სულისავ და გულო ჩემო გულისავ!.. ოოხ! ცაო მაღალო, უთვალავის ჩირაღდნებით მორთულო და მოჭედილო ღვთის სადგურო, ჩემი ტანჯვა-მწუხარების დიდო მოწამევ-მაყურებელო! შენ მაინც შამიბრალე და ნუ გაჰთენდები მალე: მინდა გავძღე ჩემთვინ წამებული გაიოზის ყურებით, მინდა გულ-მოკლული სიყვარულის ცრემლით მოვბანო დახატულ სახეზედ შამშრალი ცრემლები უიმედო სიყვარულისა, მინდა საუკუნოდ გამოვემშვიდობო გაიოზის კალმით ნახატ გიშრის თვალ-წარბებს, მერე დავიცე მარჯვენა ძუძუსთან ალმასის დანა, ზედ გადავაკვდე ჩემს დაკარგულს ბედნიერებას—და გამოვფრინდე ზეცაში გაიოზის სულთან»!

გაჩუმების უმალვე გაუმაძღრად დაეწაფა თიკო გაიოზის ტუჩებს. თიკოს ტუჩების მიკარებით გაიოზი კუბოში გაინძრა, თიკო შეკრთა, გაფითრდა, ენა დაება, თავი მაღლა აილო, განცვიფრებით დააცქერდა გაიოზის მოძრავ სახეს და მარმარილოდგან გამოქანდაკებულ ხატს დაემზგავსა სუნთქვა-შეწყვეტილი. ფერ-მიხდილი თიკო მალევე ვარდის ფერ ატლასივით აენთო, ზღვასავით აუმღელვარდა ბროლის გულ-მკერდი კაცის გრძნობის გამგიჟებელ ძუძუკოკობებთან და შადრევანივით ამოჰსქდა გულიდგან ტანჯვა-ნეტარების ცრემლები. გაიოზმა მძიმე-მძიმედ

*) გადაითხიო, გადაიხაფრო, გადაიკარგო.

*) იხ. „ივერია“, № 203.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხელოვნურად ნაწარმოები, მოოქრული ქართულის ზედ-წარწერებით და სურათებით იგი ერთს უძვირფასესს განძს შეადგენს ამ წმიდათა უდაბნოსათვის. ერთს მხარეზე ლუსკუმისა გამოქანდაკებულია ძველი ქართული ღერბი, ე. ი. შუაში კვართი უფლისა და იქით-აქეთ ლომები· ამას გარდა სურათებს და წარწერებს მოვლებული აქვს წმინდა ქართული ჩუქურთმები. წმ. დავით და კონსტანტინეს დღესასწაული 2 ოქტომბერს არის და აი სწორედ ამ დღეს იქნება მოწამეთაში დიდის ლიტანიით ეს ახალი ლუსკუმა და წმიდა გვამთა შიგ ჩასვენება. ყოველ წლივ მრავალი ხალხი ესწრება ხოლმე მოწამეთობას.

*** წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიამ მიიღო ჩინებულად გადაღებული სურათები დავით აღმაშენებელისა, წმიდა ნინოსი, წმიდათა დავით და კონსტანტინესი და გაბრიელ ეპისკოპოსისა.

თითო სურათი ღირს შაურად. ეს გასაოცარი მცირე ფასია ამ გვარ სურათებისათვის. ისინი არაფრად არ განირჩევა ფოტოგრაფულ სურათებისაგან, რომელიც თითო მანეთნახევარი ღირს.

*** ტფილისის გუბერნატორის კანცელარიიდგან ქალაქის თვით-მმართველობას შეუთვალეს, რომ ამიერიდგან ქუჩაში მაწანწალა ძაღლები აღარ დახოცონ საწამლავით, არამედ იხმარონ ის საშუალება, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარშია მოხსენებული.

*** ხუთშაბათს საღამოს ქალაქის გამგეობაში სხდომა ჰქონდა სასკოლო კომისიას. მას უნდა განეხილა ძლიერ საყურადღებო მოწერილობა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა, რომელიც ეხლა-ხან მოჰსვლია გამგეობას გუბერნატორისაგან. ბ. მზრუნველი, გაზეთ „კავკაზის" სიტყვით, არჩევს თავისს მოწერილობაში ტფილისის საქალაქო სახელოსნო სასწავლებლის წესდებას. ამტკიცებს, რომ წესდება კანონიერი არ არისო და ითხოვს—შედგენილ იქმნას ახალი წესდება.

*** „ნოვ. ობოზ."-ს სიტყვით, კავკასიის სამოსწავლო ოლქს შემდეგი შუამდგომლობა წარუდგენია სადაც ჯერ არს: დაარსებულ იქმნას ტფილისში მეოთხე კლასიკური გიმნაზია, ან გიმნაზიის სამაგიეროდ საშუალო სატეხნიკო სასწავლებელი, დაარსებულ იქმნას ბათუმში კლასიკური გიმნაზია და ქუთაისის პროგიმნაზია რეალურ სასწავლებლად გარდაკეთდეს.

*** ს. აბაშა, (სამეგრელო): წელს აქეთ ძალიან ცუდი მოსავალია. გამუდმებულმა წვიმებმა და სიცივემ ყურძენი და სიმინდი სრულიად წაახდინა, აღმოსავლეთის ქარმა ხომ სულ ბოლო მოუღო. თვით რიონის ნაპირებიც-კი, რომელიც განთქმულია სიმინდის მოსავლით, საცოდავი სანახავია. ფუთი სიმინდი თოთხმეტ შაურადა ფასობს.

*** ს. ტეზერი, (ქართლი): 8 ენკენისთვეს ტეზერში ღვთის-მშობლობა იყო. ახლო-მახლო სოფლებიდგან და ბევრჯელ შორეულ ადგილებიდგანაც აქ მრავალი ხალხი იყრის თავს სადღესასწაულოდ. მაგრამ სამწუხაროდ ეს დღეობა ისე არ მოვა, რომ ჰირვეულმა ყმაწვილებმა ჩხუბი არ ასტეხონ და არავინ დაჩეხონ.

არც ამ თვის რვას ჩაიარა მშვიდობიანად ღვთის-მშობლობამ. აზნ. ს.—ბს გლეხკაცებთან მოუვიდათ ჩხუბი. ხელით ცემის მაგივრად იძრეს ხანჯლები, როგორც მოსალოდნელი იყო, ამათ მოეშველნენ სხვებიც, გაჩნდა ორონ-ტრიალი და ისე გამწვავდა ჩხუბი, რომ ნაცნობსა და უცნობს ერთმანეთში ველარ არჩევდნენ და სჩეხდნენ, ვინც შეხვდებოდათ. დაიჭრა რამდენიმე კაცი. ადგილობრივმა მამასახლისმა რომ ველარაფერი გააწყო და ვერ გააშველა მოჩხუბარნი, აფრინა ხაშურში ბოქაულთან მწერალი.

*** ავნევი, (ფრონის ხეობა): აქეთ მოსავლებს ქება აღარ უნდა; ვენახებიც კარგად არის, არავითარი სენი არა აქვს. სამაგიეროდ დიდი ზარალი მისცა აქაურებს ამ გაბმულმა წვიმებმა, რადგან გამონიავება ველარ დაასწრეს შხაპუნა წვიმებში და კალოებზედ შეგროვილ ნალეწებიდამ კვირა-ნახევრის განმავლობაში ხელი აალებინა ყველას, რადგან მარცვალი მთლად გაღოღოვდა. ბევრმა ქვრივობერმა და ულონო გლეხმა დაჰკარგა წლის მოსავლის საგრძნობელი ნაწილი.

*** ხაშური:—9 ენკენისთვეს მიმავალის მატარებლიდგან კონდუქტორებმა შეამჩნიეს, რომ რკინის გზის ლიანდაგის ნაპირზედ ვიღაც კაცი ეგდო პირქვე, შეაჩერეს მატარებელი და ნახეს გაცივებული გვამი ადამიანისა. მკვდარი ვერ იცნეს, ვინ და ან სადაური იყო. მთელი სამი დღე ეგდო იქ, სანამ გამომძიებელი მივიდოდა.

*** სოფ. სახარბედიო, (სამეგრელო): როგორც ყველანი ემდურებიან წრევანდელს მოსავალს, არც ჩვენ ვიყავით ბუნებისაგან დაჯილდოებულნი. სიმინდების უმეტესი ნაწილი უტაროდ დარჩა, რადგანაც ამინდები ხელს უშლიდა. ამატომ აქა-იქ საქონლისათვის დასჭრეს სიმინდები. ეხლა ჩვენსკენ თითქმის სიმშილობაა. ახლა რომ ეს ასე არის, მომავალში რაღას უნდა მოველოდეთ?

*** ს. ეგი: წრევანდელი მოსავალი ჩვენკენ სწორედ სამწუხარო და გულსაკლავს სურათს წარმოადგენს. სადღაა წელს ჩვენკენ ის მშვენიერი ყანები, რომლებიც უხვად წინა წლებში გვინახავს ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სოფელი ცოტა მთა-გორაკიანი იდგილია, მოსავალი მაინც უხვი იცის. აგვისტოს აღმოსავლეთის ღონიერმა ქარმა-კი „ცეცხლზედ ნავთი დაგვისხა", ისე ალგავა სიმინდები მიწიდან, რომ ვგონებთ სამყოფიც ვერ მოგვივიდეს.

## კორესპონდენცია.

**ქუთაისი.** გელათის ქუჩის თავში, ოთხს სექტემბერს, საღამოს 7—8 საათზედ ერთი ფრიად საზიზღარი მკვლელობა მოხდა. აი, ამ ამბავს დამსწრე პირნი როგორ მოგვითხრობენ: პოლიციის ერთი დაბალ მოხელეთაგანი სამიკიტნოში ყოფილა და მიკიტანთან და მეარღნესთან ერთად ღვინოს შეექცეოდა. ამ დროს გამოუვლია ცხენით ახალგაზდა ამბაკო ოყროშიძეს. დაუნახავს თუ არა ის ყმაწვილი პოლიციელს, დაუძახნია: მობრძანდი ღვინო მიირთვიო; ოყროშიძე მიბრუნებულა, ცხენით მიმდგარა დუქნის კარებზედ და დაულევია რამდენიმე სტაქანი ღვინო; შემდეგ უბრძანებია მედუქნის ბიჭისათვის—ჩამოუსხი ჩემს ხარჯზე ორი ბოთლი ღვინო „კამპანიასაო", ფასი მიუცია და წასვლა სდომებია, მაგრამ პოლიციელს უთხოვნია ცხენიდგან ჩამომხტარიყო და მათთან დრო გაეტარებია. ამასაც ხათრი არ გაუტეხია, ცხენიდამ ჩამომხტარა და ორი ბოთლი ღვინო კიდევ მოუთხოვია, რამდენიმე სტაქანი თვითონაც დაულევია; ცოტა ხნის შემდეგ წასვლა მოუნდომებია და კიდევაც შემჯდარა ცხენზედ, მაგრამ პოლიციელს კვლავ უთხოვნია დარჩენა და ვითომ ისიც, რომ მისი, პოლიციელის, ნახარჯი ორი მანეთიც ოყროშიძეს მიეცა მედუქნისათვის, ხოლო ოყროშიძეს ეს არ შეუსრულებია. პოლიციელი გადაღობებია, უტაცნია ცხენისათვის ლაგამში ხელი და უყვირია, ცხენიდგან ჩამოხტი, აიხადე აირაღი და პოლიციაში წამომყევო (პატარა ხანჯლის მეტი არაფერი ჰქონია ოყროშიძეს). განსვენებული ეხვეწებოდა თურმე პოლიციელს, თუ ღმერთი გწამს გამიშვი, შორი გზა მაქვს გასავლელიო, მაგრამ პოლიციელს ეს ვედრება არ შეუსმენია და ცხენიდგან გადმოუგდია. ოყ—ძეს გადმოვარდნის დროს პოლიციელიც მოჰყვა ქვეშ და ორივე ტალახში ამოსვრილან და ოყროშიძეს ხელი და თავი ქვისათვის დაუკრავს.

პოლიციელს წამოუყენებია ფეხზედ—ოყროშიძე, დაუმიზნებია რევოლვერი და უთქვამს: «ზიარებას გეფიცები, მოგკლავ, თუ ყოველიფერი არ მომეციო». ოყროშიძეს უთქვამს—ოღონდ ნუ მომკლავ და ყოველივე წაიღეო, მაგრამ პოლიციელი იმდენად გააფთრებულა, რომ ეს არ უკმარებია და რევოლვერი დაუ-

---

გაახილა თვალები, თიკოს თვალი თვალში გაუყარა და წყნარ-წყანრად წამოზეზევდა კუბოდგან. „თიკო!" „გაიოზ!" შესძახეს ორთავ, უსურვაზებივით გადაეხვივნენ ერთმანეთს და თვალ-გულ მიბნედილთ გაგიჟებით ჩააწმახეს ტუჩი-ტუჩს. გაიოზის მძლავრის მკლავებისაგან გაიოზისავე გულ-მკერდზედ შედუღებულს და ტუჩი-ტუჩს შეწებებულს თიკოს ენით-გამოუთქმელი ნეტარების სიტკბოება აჟრჟოლებდა, ათრთოლ-აკანკალებდა ტირიფივით, ფუფუნების გრძნობათ ნაქცევი განცხრომის ცაში დაფრინავდა აღფრთოვანებული სულით, უსაზღვრო სიყვარულით ძლიერად დამთვრალი გული საშინლად ებნიდებოდა აზლვავებულ ჟინისაგან, ძალზე დაწაფებული ტუჩები ვნების ამგზნებელ შარბათს ეზიდებოდა გაიოზის ტუჩებიდგან—და ოჰ! რათ მოჰხდა ეს: თავის დიდება სიქალწულეც თავისავე გულის სიცოცხლე გაიოზს უმსხვერპლა თავდავიწყებულმა უბრძოლველად. იმ დროს, როდესაც მკერდი-მკერდს შედუღებულებს და ერთგვარად გამტაცებელის ვნება-გრძნობებით შეერთსულ-ხორცებულებს გონებაც გრძნობათ გადაჰქცეოდათ და მთელი ქვეყანა და ქვეყნის საქმე მთლად დაჰვიწყებოდათ—თავს წაადგათ ჩაფერფლილ ცეცხლივით მიმტკბარმიყუჩებულებს ზაქარია, რომელმაც თავში სასიკვდილო ბერკეტი დაარტყა მგზნებარე სიყვარულით გულმიბნედილ გაიოზს, გამოსტაცა თავისი ქალი თიკო და თრევით მოიყვანა სახლამდის მწარედ ატირებული.

ეს იყო კიდეც გამოეღვიძა თიკოს მწარედ გმინვა-წმუკუნით და უფრო გულ-ამოსკვნით მორთო მწუხარედ აქვითინებული სლუკ-სლუკი. თიკოს ულ-ამომჯდარ ქვითინზე ელაგიას გამოეღვიძა და შეეკითხა: „რა ჰნახე, შვილო თიკო. გულს რაზე იგდებინებ ქვითინით?" რა იყო, შვილო, დედა გენაცვალოს, რატო არ მეუბნები, გულს რათ იწყვეტამ ტირილით? ნეტავი გამაქრო და გამაწყალა, ეგ რაღა დაგჩემდა ღამ ღამობით, რო შენი ძილი ძილი აღარ ალი და წმინდა სანთელივით დაჰდნი და დაილევე". ხელ-მეორედ და ხელმესამედ ეკითხებოდა დედა, მაგრამ ტანჯვა-ნეტარების ხვითქით ტვინგახურებულ თიკოს ისევ ის საოცნებო მომხიბლავი სიზმარი ედგა გონების თვალ-წინ გამოუნელებლად, გულ-მდუღარედ ქვითინებდა მწარეტკბილად აჟრჟოლებული, მარგალიტის ცრემლს აწვიმებდა ბალიშზე გულის კვნესით და დედის ლაპარაკი სულაც არ ესმოდა უზომო სიყვარულით ძლიერად ადუღებულ გრძნობა-ფიქრებისაგან შორს გატაცებულს. ბოლოს, როცა გული მოიოხა ტირილით და აღშფოთებული სული დაიმშვიდა სამღელვარო სიზმარ-გამონელებულმა, ასე გადასხვაფერებით მიუგო დედას დაჟინებულ კითხვაზე: „ჩემი ძმა იოველი მესიზმრა კუბოში და გული ველარ მოვიბრუნეო".

ამ სიზმრის შემდეგ უფრო გაუათასკეცდა თიკოს გაიოზის დაფარული სიყვარული და მისი გონება ძლევამოსილის ვნებით აზლვავებულ გულთან ბრძოლა-ურჩობას ველარა ჰბედავდა. დღე მუდამ არა ჩვეულებრივ დაფიქრებული თიკო გაიოზზე ოცნებობდა და ყოველ-ღამ ძალ-გამკრთალი გაიოზის სიზმრად ნახვას ნატრობდა და ცდილობდა რაღაც ტკბილი-მთრთოლვარე გაზმორებით და ნაზ-სევდიანი ამოკვნესით. მაგრამ რამდენი უფრო ძალზე მოწყურებული ცდილობდა გაიოზის სიზმრად ნახვას—გაიოზი აღარ ესიზმრებოდა, რის გამოც გულ-ნატკენად შფოთავდა და გმინავდა ღამის წყვდიადში გამტანჯავის სიყვარულით თვალებ-დაცრემლებული. კვირაში რომ ორჯელ მაინც არ დაენახა გაიოზი თავიანთ ეზოში, ეს ქვეყანა საზარელ ჯოჯოხეთად ეჩვენებოდა, გაიოზის დანახვაზედ-კი ქარიშხალისაგან აღშფოთებულ ზღვასავით უღელავდა ბროლის ძუძუ-მკერდი ანეტარებულ გრძნობა-ვნების მძლავრი ჟრუანტელით, ჰაც ვარდის ფრად ანთებულ ლოყებზე შავი დიდრონი თვალები ცეცხლ-მოდებულ კუპრის ტბასავით უგიზგიზებდა და ენით-გამოუთქმელის სიტკბოებით ცამდე აღფრთოვანებულს თავი ბოლო-მოუღებელ ყვავილოვან სამოთხეში ეგონა. მაგრამ მალევე აგონდებოდა, რომ დედმამა თავისს დღეშიაც არ მისცემდა ნებას ვიღაც მოჯამაგირე შეერთო და ამ მოგონების უმალვე დიდი ნეტარება უდიდეს მწუხარებათ ეცვლებოდა; წარმოუთქმელი სევდა-ნაღველი სულს უხუთავდა, გულზედ მომაკვდინებელ ჰახრაკს უჭირებდა და სიკვდილს ანატრებინებდა. თვით ყოვლის გულთა-მხილავისა და შემოქმედის ძლევა-მოსილი ენაც-კი ვერ გამოიტყოდა სისრულით თუ რა ჯოჯოხეთის ცეცხლი და გენია სდუღდა მაშინ თიკოს გულ-გონებაში.

გაიოზმა-კი სულაც არ იცოდა ეს ამბავი. იმას უიმედო მძლავრი სიყვარული ყორის გველივით ჩასძრომოდა გულში და უწყალოდ უღრღნიდა და უშხამავდა მთელ სიცოცხლეს. ხშირად თავისს თავ-ბედის წყევაში შეუბრალებელ ცა და ქვეყანასაც სწყევლიდა და ჰკრულავდა სასოწარკვეთილებით სიკვდილ-მოწყურებული და გაშმაგებულ სიყვარულის სურვილ-წყურვილით გიჟსავით გადარეული. მისი გულ-გონების ყოველი უჯრა და კუთხე უიმედო სიყვარულის დაუცხრომელ გრძნობა-ფიქრებს ეჭირათ და იქ სხვას აღარასა ჰქონდა ბინა, სადგური. ოჰ, რა ხარ ლომისაც დამმონებელო, ლაჩრის გამლომებელო, გონიერის გადამრეო და უგუნურის მომგონიერებელო სიყვარულო!.. შენ დაადნე, დაიპყრე და დაიმონავე ლომივით გაიოზიც: შენ მოსტაცე იმას სულის სიმშვიდეც გულის მხნეობა-სიმხიარულეც, გონების გამჭრიახობაც, ხასიათის სიმტკიცეც, საქმის ხალისიც, ჭამა-სმის მადაც, დამშვიდებული ძილი-მოსვენებაც და ვაჟკაცურის ძალ-ღონის ძლიერებაც!..

საკმარისი იყო გაიოზისათვის თიკოს ერთი ალერსიანად შეხედვაც-კი, რომ გაიოზი საფლავიდამაც აძდგარიყო და ცათა ფრინველს მოსწეოდა ნეტარებით აღფრთოვანებული. მაგრამ გაიოზი შორი-ახლოდგან თვალის მოკვრით სრულიად ვერ ამცნევდა, თუ რას მოუთხრობდა თიკოს სახის აღგზნებული გამომეტყველება. ის დარწმუნებული იყო გუნებაში: ,,გონია, ჩემი დანახვაც-კი ჭირივით ეჯავრებაო, რის გამოც თიკოს დანახვის უმალ თიკოსაგან შემონათვალი მრისხანება ახსენდებოდა დაწვრილებით და მისგან ლახვარ-სობილი გულის იარა უფრო ელახვრებოდა და უარჯლდებოდა წყენის ცეცხლით ანთებული. ათასში ერთხელ, როცაკი გაიოზი თიკოს პირის-პირ შეჰხვდებოდა ახლო სადმე—უცნაური საქმე ემართებოდა: სახეზედ წითელყვითელი ფერი გადასცემდა, აღელვებული გული შეშფოთებულად უძგარძგარებდა, სუნთქვა უჭირდებოდა, ხელებ-აცახცახებულს პირში ნერწყვი უშრებოდა, შემკრთალ-შეშინებულს გონება ეფანტებოდა, რაღაც უხილავი ძალა გაუბედაობისა მთელი სხეულის ძალა-უნარს უსულდგმულო ძონძივით უდუნებდა და მორცხვად თავჩაღუნული განზედ სცილდებოდა თავისს სიცოცხლე თიკოს მაშინ, როდესაც ერთი იმისი ანგელოსური სახის ახლოდამ დანახვა მთელ ქვეყანაზედაც უძვირფასესად უღირდა, სამოთხის სამუდამო ნეტარებასაც ერჩივნა და მის უამესი და უტკბესი სხვა ველარა წარმოედგინ-რა ცა და ქვეყანაზედ. გაიოზის ახლო შეხვედრის დროს გაიოზისავე სულის საქმე ემართებოდა თიკოსაც და ამრიგად შეუმჩნევლად რჩებოდა ერთმანეთი-

ცია გულში ოყროშიძე წაქცეულა დუქნის კარებში, პოლიციელი მივარდნია, ხანჯალი ამოუგლეჯია და პოლიციაში გაქცეულა. ნაცნობები განსვენებულისა ერთხმად მოწმობენ, რომ მოკლული ერთობ მშვიდი, წყნარი და თავდაბალი ყმაწვილი იყო, ისე რომ კაცს არ ახსოვს მისგან წყენა, ან ჩხუბიო.

ამ საქმის გამო გამოძიებაა დანიშნული.

—

**სოფ. აბაშა, (სამეგრელო).** აბაშის საზოგადოებას შეადგენენ შემდეგი სოფლები: თვით აბაშა, ჭოკნარი, ნიგორზღვა, ნოღა, გორმაღალი, ქვაყუდე და გამოჩინებული. საზოგადოებას აქვს სასოფლო სასამართლო სოფ. აბაშაში, რომელიც შუა გულია ზემომოხსენებულ სოფლებისა.

აქამდის არავითარი უკმაყოფილება არ ისმოდა სოფლელებისაგან, რომ ვითომც სასამართლო მოუხერხებელ ადგილზედ ყოფილიყოს, მაგრამ ჩვენდა გასაოცრად 17 ამ თვეს სოფლის ყრილობაზედ გამოეცხადა ხალხს, ვითომ მთავრობას ჰსურს სასამართლო გადატანილ იქმნას საჯავახოს სადგურთან, რადგანაც ჩვენს უფროსს (ბოქაულს) არ დასჭირდება ცხენით ამოსვლა ს. აბაშაში, რკინის გზით მობრძანდება, იქვე ინახულებს სასამართლოს და უკან ისევ რკინის გზით დაბრუნდებაო.

კარგია თქვენმა მზემ, სასამართლო გადატანილ იქმნას საზოგადოების განაპირას (საჯავახოსთან თავდება საზოგადოების რაიონი) იმიტომ, რომ ბოქაულისათვის ეს მოხერხებულია და იმას-კი არ ფიქრობენ, რომ საწყალმა ხალხმა როგორ შესძლოს ამ სიშორეზე სიარული? მაგ. ქვა-ყუდე და გორმაღალი თითქმის 12 ვერსზეა სადგურიდგან დაშორებული, თანაც მთა-გორიანი ადგილებია, სადაც ზამთარში დიდი თოვლი იცის და წარმოიდგინეთ, რა რიგად შესძლებს საწყალი გლეხი ამისთანა ამინდში აქეთ და იქით ოც-და-ოთხი ვერსი გაიაროს და თუ იქ დარჩება, მაშინ ხომ სამიკიტნოს უნდა მიაშუროს და ისეც გაღარიბებულმა კიდევ ვალი მიიმატოს. ეს სად გაგონილა, თქვენი ჭირიმე, ან ვინ გამოსცა ჯერ ასეთი ბრძანება, რომ ყველა სასამართლოები რკინის გზის სადგურებთან ჩამოიტანონ. გურიაში იმისთანა მიუდგომელ ადგილებშია სასამართლოები, მაგ. სურებში, რომ ზამთარში ყოვლად მოუხერხებელია იქ ასვლა, მაგრამ რას იზამთ, ხალხი იქ სცხოვრობს და სასამართლოც იქ უნდა იყოს. ადგილობრივი ბოქაული თუ მაზრის უფროსი საჭიროების დროს დაუყოვნებლივ მიდის ხოლმე. იმედია უმაღლესი მთავრობა ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას და ნებას არ მისცემს (ვისაც ეს ჰსურს) სასამართლო ადგილიდამ დასძრან, თორემ, როგორც ზევით მოვიხსენეთ, ძალიან მოუხერხებელი იქნება და ხალხიც უზომოდ შეწუხდება. თვით იმ ყრილობაზედ, რომელიც 17 ამ თვეს იყო, ერთმა გლეხმა შემომჩივლა: ეხლა ხომ დალამებულია ბატონო, ყოველთვის ამ დროს თავდება ყრილობა და ეხლა რომ სადგურთან ვიყო, ძალა-უნებურად დუქანში უნდა გავათიო ღამე და აქედგან-კი, რა დროც უნდა იყოს, ადვილად შემიძლიან შინ წავიდე; თუ ვერ წაველი, ღამეს მაინც გამათევინებს ვინმე უფასოდაო.

იქაური.

# უცხოეთი

—

**იტალია.** დასრულდა რომის აღების 25 წლის საიუბილეო დღესასწაული. სხვა-და-სხვა ეპიზოდთა შორის გაზეთებმა აღნიშნეს ერთი საყურადღებო ამბავი: გარიბალდის შვილს არ მიუღია არავითარი მონაწილეობა დღესასწაულში და არ დასწრებია თავის მამის სახელობაზე ძეგლის კურთხევასაც. გარიბალდი ამას ხსნის იმით, რომ მთავრობამ არ აღასრულა თავისი დაპირება და სრული ამნისტია არ გამოუცხადა პოლიტიკურ დამნაშავეთაო.

—

**გერმანია.** პოლიციამ დაატუსაღა კელნში ორი ფრანგი, რომელთაც ჯაშუშობა ბრალდებათ. ამბობენ, გაჩხრეკის დროს დატუსაღებულთ უნახეს საყურადღებო საბუთები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ არსებობს კარგად მოწყობილი დაწესებულება, რომელიც საფრანგეთს ბევრს საიდუმლო ამბავსა და გარემოებას ატყობინებს გერმანიიდგან. ამბობენ, რომ ამ დაწესებულებაში მონაწილეობას იღებენ არა მარტო ფრანგნი, არამედ გერმანელნიც, რომელნიც აგრეთვე მალე იქნებიან დატუსაღებულნიო.

—

**საფრანგეთი.** წინაალმდეგ იმ იმედისა, რომელიც აღძრა გენერალ დიუშენის დეპეშამ მადაგასკარიდგან, გაზეთებში ბევრს საფრანგეთისთვის სამწუხარო ამბებს ბეჭდვენ მადაგასკარის ექსპედიციის შესახებ. იწერებიან, რომ მეტად ბევრი ჯარის-კაცი იხოცება სხვა-და-სხვა ავადმყოფობისგან, რომ ექსპედიცია ძლივს იწევს წინ, რომ დიუშენი სცდება, როდესაც ამტკიცებს—ტანანარივას სექტემბერში ავიღებო და სხვა. ერთი პარისელი გაზეთი სწერს, რომ მადაგასკარიდგან 1500 ავადმყოფი ჯარის-კაცი გამოგზავნეს საფრანგეთშიო, იქ-კი უფრო მეტი დარჩა კიდევაო; ამ ჟამად 4000 მეტი იქნება მადაგასკარის ექსპედიციიდგან ავათო; დღეში 30-ამდე კაცი კვდებაო და სხვა, საფრანგეთის პრესა მეტად შეწუხებულია ამ ამბებით და ჰკიცხავს მთავრობას ექსპედიციის გაგზავნისათვის მადაგასკარზედ. მთავრობა თავის მხრით ცდილობს თავი გაიმართლოს. სამხედრო სამინისტრო ამტყუნებს საზღვაო სამინისტროს, ხოლო უკანასკნელი ბრალსა სდებს კოლონიების სამინისტროს. ამბობენ, რომ ამ საგნების შესახებ პარლამენტში აღძრავს ბაასს დეპუტატი 'ჟერო-რიშარიო.

—

**საბერძნეთი.** ამ ჟამად საბერძნეთში დიდი მზადებაა: განზრახვა აქვთ კვლავ შემოიღონ ძველის დროის სახალხო სათამაშო და სხვა-და-სხვა ფიზიკური ვარჯიშობა, რომელთ ძველს საბერძნეთში „ოლიმპის სათამაშოს“ ეძახდნენ. ამ სათამაშოთა გამართვას აპირებენ მომავალ წლის აპრილისათვის ქალაქს ათინაში. ბერძნები მრავალ სტუმართ მოელიან იმ დროისთვის ათინაში და სურთ ღირსეული დღესასწაული გამართონ. ამისთვის დიდს ფულს იღებენ პატრიოტები და მთავრობაც დახმარებას უჩენს; საქმის კარგად მოწყობისათვის უკვე კომიტეტიც შესდგა, რომლის თავმჯდომარედ დანიშნულია საბერძნეთის ტახტის მემკვიდრე კონსტანტინე. ახლა უკვე შესდგომიან ასპარეზისა და სხვა-და-სხვა შენობათა აგებას სწორედ იმ გეგმაზედ, რომელიც დარჩენილია უძველეს დროიდან.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

ამ დღეებში გაზ. „ნოვოე ვრ.“-ს კორესპონდენტი მიუღია რომის პაპს. კორესპონდენტი ასე აგვიწერს ამ შეხვედრას:

მიიღო-რა ლოცვა-კურთხევა, ამ სიტყვებით მომმართა პაპმა ლეონ მეცამეტემ:

— მე მითხრეს, რომ თქვენ იტალიანურად კარგად ლაპარაკობთ. მაშასადამე, ჩვენ შეგვეძლება ამ ენაზედ ვილაპარაკოთ. დაჯექით აქ. და თავისს სავარძლის გვერდით მიჩვენა ადგილი.

არ შემიძლიან აგიწეროთ ის გულ-კეთილობა, როგორითაც პაპმა მიმიღო, როგორც მეპყრობოდა. ყველა ის, რასაც პაპის გულ-კეთილობის შესახებ ლაპარაკობენ, სრულიადაც არ არის ნამდვილი გამომხატველი მისის სიკეთისა და იმისი, თუ რა ტკბილად, ცოცხლად და მიმზიდველად იცის ლაპარაკი. მე ადრევე ვიცოდი, რომ პაპი ლეონ მე-XIII-ე ყოველ მხრივ უნაკლულო იყო და ძლიერი. მაგრამ როდესაც იგი ვნახე, არ მინდოდა დამეჯერებინა, რომ ჩემთან ლაპარაკობდა 85 წლის მოხუცებული. მისი უწმიდესობა გარეგან შეხედულობით 60 წლისაზედ მეტი არ უნდა იყოს, ხოლო მისი ცოცხალი მიხვრა-მოხვრა, ლაპარაკი და შესანიშნავი მეხსიერება ხომ უფრო გარწმუნებს მისის წლოვანობის ნაკლებობაში. ასეთს შთაბეჭდილებას მხოლოდ ახალგაზდანი და ჯანმრთელნი მოახდენენ ხოლმე მნახველზედ. ლეონ მეცამეტეს სახე ცოტათი ვოლტერის სახეს წააგავს, მაგრამ არ ეტყობა ის ცბიერება, ის დამცინველი გამომეტყველება, რომელიც ვოლტერს ჰქონდა; პირ-იქით დღევანდელ პაპის სიცოცხლით სავსე სახის ხაზები სრულის სიკეთისა და სათნოების გამომეტყველნი არიან. თუ რომ მართალია თქმულობა „სახე სულის სარკეაო“, მა-

საგან ერთმანეთის შინაგან-გარეგანი ცვლილება.

გაიოზის სულის ერთად-ერთი დატკბობა ეს-ღა იყო: კვირა-უქმე დღეს რომ მინდვრიდგან შინ მოვიდოდა, შედიოდა შინა-თავლაში და თავლის სათვალე-ჭუჭუტანებიდგან სახლის ეზოში მოსიარულე თიკოს მალვით ჰზვერავდა და უყურებდა გაუმაძღრად, ან მოუთმენლობის სიშმაგით ელოდა ქურდულად ჩასაფრებული თიკოს სახლიდგან ეზოში გამოსვლას. როცა-კი თავლის სანათურიდგან თვალს მოჰკრავდა თიკოს, ძალუმი ციებ-ცხელების მაგვარი ჟრჟოლისაგან აშრიალებულ ფოთოლივით ცახცახებდა და ისეთის გაშმაგებულის გრძნობით სწყუროდა თიკოს ლერწამ-ტანზედ ხელის მოხვევა და გულში ჩაკვრა, რომ იმ აფეთქებულ გრძნობა-სურვილის სიტყვით გამოთქმა და გამოხატვა ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც მთელს დედამიწის ზურგზედ არც ერთს ერის ენას არ შეუქმნია ჯერაც უსაზღვრო სიყვარულის ძლევა-მოსილ გრძნობა-სურვილთა სისრულით გამომსურათხატებელი ტერმინები. შეიძლება ითქვას: ისე უძლიერესად სწყუროდა გაიოზს თიკოს როლ-ფიქალ ძუძუ-მკერდის გულში მიხუტება, როგორც მომწიფებულ ქალს—გათხოვება, უწყლო თევზს—წყალი და უჰაერო ფრინველს—ჰაერი, მაგრამ მაინც გაიოზის მზვერაობისაგან აღძრული სურვილი და წყურვილი მძლავრი სიყვარულისა ნაათალადაც არ გამოიხატება ამ გამოთქმითაც. ეს დაფარულად ნათვალ-თვალევი სურათები თიკოს ეზოში მოძრაობა-მიმოსვლისა ღრმად ებეჭდებოდა გაიოზს გონებაში და მინდორში სადმე ბუჩქის ძირას მარტოდ მისვენებულს ცხოვლად ელანდებოდა თავისი მტანჯავი თიკო სამაცდურო ოცნებით გაშტერებულ თვალებში.

ვეღარა რომელმა მარეხის გამხნევება-იმედმა ვეღარ დაიმორჩილა წინანდებურად გაიოზის გამხეცებული სასო-წარკვეთილება უიმედო სიყვარულისა. იმისი მწუხარე სახის ნაღვლიანი გამომეტყველება, მწარედ ჩაფიქრებული სიჩუმე და ხმა-ამოუღებლობა უცბად შებრალების გრძნობას უბადებდა მნახველს და დიაღაც საბრალისი იყო გაიოზი: ტვინი ღუმელივით უხურდა აღშფოთებულ სიყვარულის მომშხამავ გრძნობა-ფიქრებისაგან და უიმედობით გულ-გაგმირულს ძალზედ სწყუროდა თავისი გულის უზომო ტანჯვა-მწუხარება მდუღარე ცრემლად ამოეღვარნა გულიდამ გულზედ მოსაშვებად, მაგრამ თვალზედ ცრემლი არ მოსდიოდა, უნდოდა ძილში მაინც დაევიწყნა თავი, მაგრამ თვალზედ ძილიც-კი აღარ ეკიდებოდა ღამ-ღამობით მინდორში იყო იგი, თუ სოფლად და თუ როგორმე თვალს მოატყუებდა ბურანში, ვაი იმისთანა თვალის მოტყუებასაც, შხამ-გესლიანი საწამლავით იყო გაჟღენთილი იმისი მოუსვენარი ძილი: ხშირად თიკო ესიზმრებოდა სხვაზედ ჯვარის დასაწერად მორთულ-მოკაზმული, რის გამოც მწარედ გმინავდა, წმუკუნებდა, ზმუოდა, საცოდავად ხრიალებდა, სახე საშინლად ეპრანჭებოდა, ხელ-ფეხი მომაკვდავსავით უსავსავებდა, რაღაცეებსა ჰბოდავდა ალინთულ დომხალივით არეულ-დარეულად, ბოლოს საზარლად ყვიროდა ძალზედ განრისხებული, გველ-ნაკბენივით ხტებოდა ძილში და უცბად ეღვიძებოდა უცნაურად თვალების აჭყეტით; მაგრამ ვაი იმისთანა გამოღვიძებასაც: ჯან-ღონე მოწყვეტილს არაქათი აღარასი ჰქონდა, გამწარებული სული ყელში უგუბდებოდა აღშფოთებით, წარმოუთქმელი სევდა-ნაღველი აქოშინებდა, არჩობდა და ისე აჩქარებულად ქშინავდა თავ-გაბრუებულ-დამძიმებული თითქო უზარმაზარი ლოდები დაუწყვიათ გულ-მკერდზე ძ სული ხორცს ეყრებაო;ამ ჯოჯოხეთის სატანჯველს ხანგრძლივად ვერ იტანდა ღონე-მიხდილი, საშინლად თავ-გაბრუებულს მალევე თვალთა ჰშავდებოდა, მუხლის ძარღვები ეკვლანჭებოდა, მიმკვდარებული გული ეპარებოდა—და ის იყო კიდეც გიჟსავით წამოვარდებოდა ხოლმე საწოლიდამ და დარეტიანებულივით დაბარბაცდება აქათ-იქით არაქათ-გამოლეული, მიბნედილ-მისუსტებული გულის მოსაბრუნებლად და ძალზე მშფოთარე სულის დასამშვიდებლად, რომელიც ისე უქასქასებდა თითქოს ყანის გაძლიერებულ მკაში სიცხე პაპანაქებით შედედებულ ჰაერს დაუმძიმებიაო.

ასეთ ტანჯვა-წამებაში ატარებდა ღამეებს გაიოზი, რომელსაც თავისი ამხანაგი—თანა-მოჯამაგირეები თავს აბეზრებდნენ ერთისა და იმავე კითხვით: «რა იყო, კაცო, რა გემართება ამ ღამეთო». გაიოზი ბევრნაირად უსხვაფერებდათ, ხან იმასაც ეუბნეოდა: „მაჯლაჯუნა მაწვებაო, მაგრამ ზოგი ერთებს მაინც არა სჯეროდათ და არ ესხნებოდნენ. ბოლოს ეს მოიგონა გაიოზმა: „მკითხავმა მითხრა თელეთის წმიდა გიორგი გაჯავრებულა შენზე და იმისი მიზეზიაო; მაშინ-კი ყველამ ერთ-ხმად დაიჯერა და აღარ აბეზრებდნენ კითხვებით, რჩევა-დარიგებას-კი აძლევდნენ იმის შესახებ, რომ რაც შეეძლო მალე და კაი კურატ-შანა-საწირავებით წასულიყო გაჯავრებულ თელეთის წმიდა გიორგისთან „გასაკურნებლად“.

ათასში ერთხელ შეჰხვდებოდა ხოლმე გაიოზს მადალ-ნეტარების უუტკბილესი წამებიც: სიზმარში მოლანდებული თიკო ნაზად, ნარ-ნარად ყელს ეხვევოდა, სიყვარულის ცრემლ-მარგალიტებს ასხურებდა, მუსიკალურის ქვითინით ემუდარებოდა: „წამიყვა, გამიტაცე—საითაც გინდა და გამძღე შენი სიყვარულითაო“ და თანაც აღელვებულ გულ-მკერდზედ ეწებებოდა, მხურვალედ ჰკოცნიდა ჭანდარივით ათრთოლებული და ათას გვარად უალერსებდა ჟინ-მოუკლავი ვნება-სიყვარულით თვალებმიბნედილი თიკო. ამ დროს გაიოზს გულში შარბათის ზღვა უდუღდა, ამნეტარებელი ჟრუანტელი უვლიდა მთელ სხეულში და წარმოუთქმელის სიტკბოებისაგან სანატრელად დამთვრალი გაუმაძღრად ეწაფებოდა გიჟსავით მგზნებარე თიკოს გავარვარებულ ტუჩებს მარწყვისას და გაშმაგებულ ტრფობის ცეცხლის მაფრქვეველს შავ-ჟუჟუნა დიდრონ თვალებს. ბოლოს ზღვად-ქცეული ნეტარება ყელში ეჯინებოდა გაიოზს, სულს უგუბებდა და ეღვიძებოდა. მაგრამ მეტის-მეტი განცხრომისაგან ძლიერად შეპყრობილი თვალებს ისევ ჰხუჭავდა, უნდოდა ეს ქვეყანა აღარ დაენახა, კიდევ იმ გამოუნელებელ სანეტარო სიზმარს ითვალწინებდა დაშარბათულის გრძნობებით ყელთამდის აღსავსე და თან მეტად უკვირდა თავისს სულის საოცარი ცვლილება: რაღაც საარაკო ამირან-დევის ჯან-ღონის ძლიერებას და გულის სიმხნევე-სიმძლავრეს ჰგრძნობდა იმ წუთებში. ბოლოს და ბოლოს-კი, როცა მთლად ჰნელდებოდა მომჯადოებელი სიზმარი, თიკოს შემონათვალი კიცხვა-მრისხანება ახსენდებოდა, აგონდებოდა ისიც: თიკოს მშობლებს რომ გაეგოთ ეს ამბავი—ერთ დღესაც არ დააყენებდნენ თავისთან და უიმედობისაგან ფრთებ-შეკვეცილი ალმა-მფრენავი ოცნება დაღმა მოურბოდა, ანატყორცი ისარივით აზღვავებული ნეტარება ჭრაქივით უქრებოდა, გულის სიმხნევე ძლიერებაც უცბად ეკარგებოდა, ამირანის ჯანღონეც სწრაფად ეცლებოდა და ისევ ის გამტანჯავი ჯოჯოხეთის გეჰია უდუღდა გულში სასოწარკვეთილებით სიკვდილ-მოწყურებულს.

დ. მაჩხანელი.

შინ პაპს ლეონ მეცამეტეს უნდა ჰქონდეს მაღალი და ყოველ-გვარ სათნოებით აღსავსე სული.

ამ ჟამად ქვეყნად ნამდვილი მშვიდობა არ არისო, მიბრძანა პაპმა, ყველაფერი შუბებზეა დამყარებული; მაგრამ ის ძალა, რომელიც შუბებისაგან მოელის არსებობას, ხანგრძლივად ვერ იცოცხლებს იმის გამო, რომ ყველა სახელმწიფონი მუდამ აღჭურვილს მშვიდობიანობას შესცქერიან, მათში ვერასოდეს ვერ განვითარდება—აზრი-ხელოვნება, მეცნიერება და ხელობა. დღევანდელს დღეს მძიმე ნივთიერი პირობანი მოსვენებას არ გვაძლევენ და ამიტომ კაცის სულს არ შეუძლიან სავსებით გამოიჩინოს თავისი მაღალი დანიშნულება. მერე, რა სასიქადულო და სანატრელი იქნებოდა, რომ მართლა დამყარდებოდეს ქვეყნად მშვიდობა, ის მშვიდობა. რომელსაც მუდამ ეკკლესია ჰქადაგებს,—უარ-ჰყოფდა თოფ-ზარბაზანს და თავისს საკამათო საგანს მშვიდობიანად, მოლაპარაკებით გარდასწყვეტდა ხოლმე. აი, მაშინ დამყარდებოდა ჭეშმარიტი მშვიდობა და განხორციელდებოდა პროგრესიო.

—

**თავადის ლობანოვ-როსტოვსკის საფრანგეთში ყოფნის შესახებ ბევრს ლაპარაკობენ უცხოელი გაზეთები. „ტაიმს“-ი ამბობს, რომ**

როგორც სჩანს პეტერბურგიდგან მოსულ სარწმუნო ამბებიდგან თავადის ლობანოვ-როსტოვსკის ჰანოტოსთან მოლაპარაკებას ის შედეგი მოჰყვება, რომ რუსეთს კონტროლის უფლება მიენიჭება ფრანგ-რუსთა თანხმობის საქმეში. ამბობენ, რუსეთმა იმიტომ გაგზავნა ლობანოვ-როსტოვსკი საფრანგეთში, რომ საფრანგეთს ადრევე არ ესარგებლნა რუსეთის გეგმით და მერე ისიც რუსეთის წინააღმდეგაო.

**სომხეთის საქმის დღევანდელ მდგომარეობის აღსანიშნავად მეტი არ იქნება მოვიყვანოთ ერთი ადგილი „ფრანკფურტერ ცეიტუნგ“-ში დაბეჭდილ წერილისა სტამბოლიდგან:**

იმის შემდეგ რაც ოსმალეთის მთავრობა ხუთის მუხლის შესახებ დასთანხმდა, რუსეთის საელჩომ განაცხადა, რომ ეხლა-კი შესაძლებელია შერიგება მოხდესო. საფრანგეთის ელჩი იმ აზრისაა, რომ თუ ამაზედ იმისი მთავრობა თავისს აზრს არ აცნობებს, არავითარს პასუხს არ მისცემს, ხოლო ინგლისის ელჩმა პირდაპირ უთხრა,—ამ საგნის შესახებ ინგლისის მთავრობას მიჰმართეთ ლონდონში მყოფის თქვენის ელჩის პირითაო. დღეს მოვიდა პასუხი ლონდონის კაბინეტისაგან. მარკიზმა სოლსბერიმ, რომელიც ამ ჟამად დიეპპში იმყოფება, უპასუხა რუსტემ-ფაშას, რომ ინგლისის მთავრობა თხოულობს ან სრულიად განხორციელებულ იქმნას რეფორმათა პროგრამა, ან არა-და საერთაშორისო საკონტროლო კომისია დააარსონ თვით სომხეთშივე. ორსავე განცხადებაზედ პორტამ მოკლედ მისცა პასუხი, რომ არც ერთი მათგანი არ იქნება შეწყნარებული, რადგანაც ეს სულთანის მეფურს უფლებას არ შეესაბამება. მაგრამ დიპლომატურ წრეებში მაინც ფიქრობენ მემორანდუმის თანახმად მოხდეს თანხმობა. რაიმე საზღვარ გადასული დიპლომატური წინააღმდეგობა აქ სრულიად მოსალოდნელი აღარ არის, რადგანაც საფრანგეთი და რუსეთი ისე აღარ ეწინააღმდეგებიან, როგორც ინგლისი. წინანდებურად მაინც არა სჩანს, რომ ამ საქმეში ყველა მონაწილეობას იღებდეს, ვისაც-კი ბერლინის ტრაქტატზედ უწერია ხელი. რაც შეეხება, იმას, რომ ვითომ სომხეთში ხელახლად მომხდარიყოს რაიმე უწესოება და სისხლის ღვრა, სრულიად მოკლებულია სიმართლეს; აქ მაინც არა იციან-რაო, იუწყებიან.

**„პოლიტიშე კორესპონდენს“-ი ამბობს სომეხთა საქმის შესახებ:**

როგორც ირწმუნებიან, რუსეთს, საფრანგეთსა და გერმანიას წინადადება წარუდგენიათ იაპონიისათვის, ეხლავე განათავისუფლოს ლიატონგის კუნძული. თუ რომ იაპონია ამ წინადადებას არ შეასრულებს, მაშინ რუსეთი თანახმად მის მონაწილე სახელმწიფოთა პორტ არტურს დაიკავებსო.

**ამავე დროს „სტანდარდ“-ს ატყობინებენ ბერლინიდგან დეპეშით:**

რუსეთმა, საფრანგეთმა და გერმანიამ ხელახლად დაიწყეს მოლაპარაკება შორეულ აღმოსავლეთის პოლიტიკის შესახებაო.

—

იმ ულტიმატუმის გამო, რომელიც ამას წინად ინგლისმა გაუგზავნა ჩინეთს და რომელშიაც მოითხოვა, რომ თუ ჩინეთმა არ გადააყენა მეფის მაგიერი მმართველი, რომელმაც არავითარი ღონის-ძიება არ იხმარა მისიონერების დასაცველად, მაშინ ინგლისი იძულებული იქნება ომი გამოუცხადოს ჩინეთსაო, ამის შესახებ, აი რას ამბობს გაზ. „მოსკოვის ვედომოსტი“:

თუნდ ჩინეთმა მართლა გადააყენოს მეფის მაგიერი მმართველი და მით ინგლისის წადილი შეასრულოს, ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ ინგლისმა იმისთანა გავლენა მოიპოვოს ჩინეთზე, რომ მის საქმეებს იგი სწყვეტავდეს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ საქმეებში დიდად დაინტერესებულია რუსეთი და მის გარდა არც ერთს სახელმწიფოს არ შეუძლია იქონიოს ჩინეთზე რუსეთისთანა გავლენა. ინგლისის მიერ წარდგენილი ულტიმატუმი ჯერ-ჯერობით არ ეხება რუსეთის ინტერესებს მაგრამ, თუ ინგლისს განზრახვა აქვს განაგრძოს თავისი პოლიტიკა ჩინეთში, მაშინ ის შეეხება რუსეთს, რომელსაც დასუსტებულს ჩინეთზედ მეტი შეუძლია და წინააღმდეგობას გაუწევს ინგლისს. რუსეთი დიდის გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს და არავის მისცემს ნებას თავისი ღირსება შეალახვინოს! ამას არ უნდა ივიწყებდეს ლორდი „სოლსბერი“ და ამას უნდა შეუთანხმოს თავისი პოლიტიკა, თუ უნდა რომ მისმა პოლიტიკამ ზარალი არ მისცეს იმ სახელმწიფოს, რომელსაც იგი მართავს.

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩემს მცირე წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ივერიაში. „ამ ორის თ.ვის წინად ადგილობრივ ქართველთა შორის შეიკრიბა „ზემირ-სიტყვაობის ფონდის სასარგებლოდ ფული, —ორმოც-და-ორი მანეთი, და ეს ფული გადაეცა ერთს ყმაწვილს, რომელსაც უნდა გაეგზავნა „კვალის“ რედაქციაში შემწირველთა სახელისა და გვარის გამოსაცხადებლად, მაგრამ დღემდის ამის შესახებ არა ისმის-რა. გთხოვთ დააჩქაროთ გაზეთით შემომწირველთა სიის-გამოცხადება, რადგანაც ახლაც ჰსურთ ზოგიერთებს შეკრიბონ მეფე ერეკლისა და მის მეომართა ძეგლის სასარგებლოდ ფული და ამის გამო ვეღარ ჰბედავენ.

გ. გვარამიძე.

დილიჟანი, 1895 წ. 20 ენკ.

*) შეჰკრიბეთ ფული და გამოგზავნეთ; არა ვგონებთ ვინმემ გაჰბედოს საზოგადო ფულის მითვისება. უეჭველია, თუ ჯერ არ გამოცხადებული სია ხელის-მომწერთა—გამოცხადდება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

21 სექტემბერი.

**პარისი.** თავადმა ლობანოვ-როსტოვსკიმ 21 ისაუზმა ანოტოსთან და სალამოს წავიდა რესპუბლიკის პრეზიდენტთან ფონტენებლოს სადილად. თან წაჰყვენ: ბარონი ბორენჰეიმი, გირსი, ანოტო და გრაფი მონტებელო. პრეზიდენტმა უბოძა თავადს დიდი ჯვარი „საპატიო ლეგიონისა“.

**დარმშტადტი.** დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე მეუღლით და დიდი მთავარი პავლე ალექსანდრეს ძე 21 სექტემბერს პარისს გაემგზავრენ.

**კონსტანტინოპოლი.** სომეხთა ამბოხება გაძლიერდა. ჟანდარმებმა და პოლიციამ შეაყენა სომეხთა გუნდნი, რომელნიც პორტისაკენ მიდიოდნენ არზის მისაცემად. სომეხთა და ჯარს შუა შეტაკება მოხდა, რომელშიაც ოსმალთა მხრით 7 ოფიცერი და 45 ჯარის-კაცია დაჭრილი და მოკლული, ხოლო სომეხთა მხრით ბევრად მეტია. 500 კაცი დააპატიმრეს. სომეხთა დაპატიმრებას გალტაში აგრეთვე მოჰყვა სისხლის ღვრა. აიასოფიას ჯამესთან სომხები ამოწყვიტეს. მრავალი სავაჭრო სახლი დაკეტილია. ქუჩები დაცულია ჯარისაგან. პასუხის გება ჟანდარმთა უკანონო მოქმედებისათვის პოლიციის მინისტრის თანაშემწეს ჰუსეინ ეფენდის დაატყდა თავს. მანიფესტაცია შემზადებული იყო სომეხთა კომიტეტისაგან, რათა გამოეწვიათ ევროპიელ სახელმწიფოთა ჩარევა. თუმცა გავლენიანი პირნი ურჩევდნენ პატრიარქს, რათა დაემშვიდებინა სომხები და პორტამაც მოსთხოვა წასულიყო კუმ-კაპუდან, მაგრამ პატრიარქი არ დასთანხმდა. სომეხთა ნუგეშის საცემლად პატრიარქმა სთქვა: „ნუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ ქრისტიანები ვართ და მაცხოვარი მოთმინებას გვასწავლიდა“.

ქიამილ-ფაშა დიდ ვეზირად იქმნა დანიშნული.

## „ივერიის“ ფოსტა.

**სურამი—ოჩხარის პირისუფალს.** თქვენ უჩივით ოჩხარის ჩვეულებას; მერე განა თქვენ ხელთ არ არის მისი უარყოფა? როდესაც მიგიწვევენ, ნუღარ წახვალთ, განა ვინა გყავთ მოძალე?


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სტოროჟენ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. ბ. კარაპეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ი. ფ. პროტასევიჩი**, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

**ა. გ. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათმდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინის ნავასარდიანი.**

(857—1468)

---

# პირის პუდრი

წმინდა ბრინჯისა, ზამბახით შეზავებული,

## პუდრა დე რიზა

ვისმუტიანი, ხმარობენ პუდრა „ველუტინ“-ის მაგიერად და სამის ფერისაა:

თეთრი, ვარდის ფერი და Rachel;

აგრეთვე

## პუდრა თმისათვის

**თეთრი და BLONDE**

ყველა ესენი საუკეთესო თვისებისანი არიან,

**კელერისა და ამხ.** ფაბრიკისა **მოსკოვში.**

ისყიდება **ყველგან და ყველა** დიდ ვაჭრებთან.

(2—34—2).

---

დაიბეჭდა და ისყიდება

# ისტორია

მართლ-მადიდებელის ეკკლესიისა ეკკლესიათა განყოფამდე.

კ. პ. პობედონოსცევისა

თარგმნილი

**მღ. ი. ჯავაშვილის მიერ.**

ფასი სამი აბაზი.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ხემოხსენებულს მღვდელს (ნიკ. ქუჩა, სახლი № 72) და „წერა-კითხვისა“ და „ქართველთა ამხანაგობის“ მაღაზიას. (3—3).

---

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში:

ნ. ბარათაშვილის

## ლექსები და წერილები.

გამოცემა მეხუთე.

ფასი 40 კ.

## მამის ერთგული.

მოთხრობა

მოზრდილის ყმაწვილებისათვის

ქრ. შმიდტისა

ფასი 15 კ.

## მტრედი.

მოთხრობა

მოზრდილის ყმაწვილებისათვის.

ქრ. შმიდტისა

ფასი 10 კ.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება | 8 | „ |
| იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ | 8 | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა | 1 | „ |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი | „ | 70 |
| საქართველოს ისტორია მ. ჯანაშვილისა | „ | 70 |
| მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი, მისივე | | 10 |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი | 1 | 50 |
| წმ. ნინოს ცხოვრების ახალი ვარიანტი ე. თაყაიშვილისა | „ | 40 |
| სამი ისტორიული ქრონიკა მისივე | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიას გამოცემულნი | 3 | „ |
| საქართველოს გეოგრაფია ვახუშტი ბატონიშვილისა | 3 | 30 |
| სამცხე მისივე | „ | 25 |
| ქართლი მისივე | „ | 25 |
| მეფე დავით აღმაშენებელი ნ. ურბნელისა | „ | 40 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, მისივე | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე | „ | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე | „ | 10 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ | 1 | 25 |
| III вып. | 1 | 50 |
| О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же | „ | 50 |
| Грамоты и другіе документы XVIII ст., его-же | 3 | „ |
| Очерки по исторіи грузинской словености А. Хаханова | 2 | „ |
| Грузинскіе дворянскіе акты, его-же | „ | 60 |
| Сигель грузинскаго Царя Баграта IV, Е. Такайшвили | | 60 |
| Переписка грузинскихъ царей съ россійскими государями | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ. С. Бѣлокурова | 3 | „ |
| Матеріалы для русской исторіи, его-же | 3 | |
| Путешествіе по Гуріи и Адчарѣ Д. Бакрадзе | 2 | 50 |
| Матеріалы для исторіи Кавказа. Буткова 3 т. | 7 | 05 |


Дозволено цензурою, Тифлисъ 22-го Сентября 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.